№ 79 | 1877—1898 | № 79
ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1898 წ. | ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1898 წ.

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ' გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ ჰოსახერხებლადა ს{ნო დააიფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „9 . 0 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—б.—20)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

**შულცე-ზენკოვსკისას,**

რომელიც მოთავსებულია მირიმანოვის სახლში და ღია იქმნება მუდამ დღე 10 განყოფილება მხოლოდ ამ დღესასწაულ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.

საანატომიო განყოფილება

ღიაა მხოლოდ დიდებისათვის. ქალებისათვის პარასკეობით, ხოლო მამაკაცებისათვის ყველა დანარჩენ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ. (5—2)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი – 6 – 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**ექიმი**
**კ. ი. გძელიშვილი**
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (10—б.—6)

## ახალი ამბავი

*** ამას წინად თ. ი. ბარათაშვილმა უჩივლა ჩვენს სათავად-აზნაურო ბანკს, რომ აწ გარდაცვალებულის თ. ავალოვის შემდეგ მე უნდა მივეწვიეთ ბანკის გამგეობაში წევრად, ვითარცა კანდიდატიო. თ. ბარათაშვილი თავისს საჩივარს იმაზე აფუძნებდა, რომ მე ერთხმად ვიყავ ამორჩეული და ამიტომ უპირატესობა მე მეკუთვნოდაო. ბანკმა მის მაგიერ მიიწვია წევრად სხვა კანდიდატი თ. ავალოვის თანამდებობის აღმასრულებლად იმ საბუთით, რომ მიწვეულს ბევრად მომეტებული ჰქონდა კენჭი ამომრჩეველისა, ვიდრე თ. ბარათაშვილსა, თუმცა ერთხმად-კი არ იყო ამორჩეული. წესდებაში ბანკს უწერია, რომ თუ ვინიცობაა გამგეობის წევრის მოადგილედ მიწვეულ უნდა იქმნას კანდიდატი, კანდიდატთ შორის (ჩვენს ბანკში სამი კანდიდატია) იგი უნდა მიიწვიონ, ვისაც მომეტებული თეთრი კენჭი მოსვლია არჩევანში.

საჩივარი თ. ბარათაშვილისა შეტანილ იქმნა ოლქის სასამართლოში, რომელმაც 13-ს ამ აპრილს გაარჩია ეს საქმე და გადასწყვიტა სასარგებლოდ თ. ბარათაშვილისა. ბანკი აპირობს აპპელაციით გადავიდეს სამოსამართლო პალატაში.

*** გუშინ (14 ს აპრილს) კუკიის ხიდს ზემოდამ მტკვრის მარჯვენა ტოტში ჩამორეკა ოთხი ცხენი ვიღაცამ, თვითონ ერთზე იჯდა და სამი ცხენი ერთმანეთზე გადაბმული ჰყვანდა. წყალმა მოიტაცა ცხენები, რომელთ შორის ორმა ასწყვიტა და მეორე ნაპირას გავიდა, ხოლო კაცი და სხვა ორი ცხენი წაიღო წყალმა და დაარჩო. მადათოვის კუნძულზე ვანქის პირდაპირ დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა და უნდოდათ გაეგოთ სად გამორიყავსო უბედურ კაცსა და მისს ორ ცხენსა, მაგრამ არც კაცი გამოჩნდა და არც ცხენები.

*** 15 აპრილს ტფილისიდგან სიღნაღს მიემგზავრება გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი კახეთის საფოსტო გზის დასათვალიერებლად. ბ-ნი გუბერნატორი სიღნაღიდგან თუქურმიშას წავა, აქედგან თელავს, შემდეგ წინანდალს საუფლისწულო მამულებში და დაბრუნდება ტფილისს. გუბერნატორს თან ეყოლება გუბერნიის ინჟენერი კ. ი. ბუტკევიჩი და ტეხნიკოსი ნ. ა. გრინევი.

*** დიდუბეში გამართულ იქმნება ცხენების გამოფენა 5 მაისს, რომელიც 18 მაისამდის გასტანს.

*** კავკასიის საწყალე ოლქის ინსპექტორი ბ-ნი ვეის-ფონვეისენგოფი სამსახურს თავს ანებებს ავადმყოფობისა გამო.

*** სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, აპრილის 15 პეტერბურგს მივა ბუხარის ემირი მცირე ამალით. ემირმა ხელმწიფე იმპერატორს უნდა მიართვას თურმე მის მიერ ბუხარაში ახლად დაარსებული ორდენი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ის სახსოვრად. ემირის მისაღებად საზამთრო სასახლის ოთახებს ამზადებენო.

## ფელეტონი

### პასუხი უცნაურის პასუხისა.

(„ტფილისის ლისტოკი“ № 33 და „ნორდარი“ № 13 *).

როგორც მოეხსენება მკითხველს, 11 იანვარს თელავში გარდახდილის პანაშვიდის გამო მცირე შენიშვნით შევატყობინე მკითხველ საზოგადოებას სომხების დაუსწრებლობა და თანაც ვითხოვდი პასუხს იმათგან, ვისაც ბრალი ედებოდა და ვინც, დამნაშავე თუ არა, მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩვენის მეზობელ სომხების ასეთის მოულოდნელ საქციელისა. მეგონა მიზეზთა მიზეზნი წამოჰყოფდნენ თავსა, მაგრამ ასე არ მოხდა, მიპასუხეს თვით მიზეზებმა. მიზეზთა მიზეზნი ფოჩოჩში შეხვეულები დარჩნენ: გახშირებული ჩამი-ჩუმი ფოჩოჩის შრიალად გადაქცეულა და აღარა ისმის-რა იმათგან შრიალის მეტი.

*) ეს წერილი დიდი ხანია გამოგზავნილია ბ-ნ ნადიკვრელისაგან, მაგრამ თვისდა უნებურად აქამდე ვერ მოვახერხეთ მისი დაბეჭდვა. რედ.

აი რას ჰბრძანებს ქ. თელავის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი „ტფილისის ლისტოკში“:

„ბ-ნი ნადიკვრელი წერილში, რომელიც მოთავსებულია წრევანდელ „ივერიის“ მე-12 №-ში, მოგვითხრობს-რა ერეკლე მეფის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდის ამბავს თელავის მართლ-მადიდებელთა ტაძარში, სხვათა შორის, აღნიშნავს თელავის თვით-მართველობის წარმომადგენელთა დაუსწრებლობას და თან დასძენს, რომ ეს დაუსწრებლობა არ ცოდნით არ აიხსნება, რადგანაც, როგორც ის ამბობს, არა თუ იგინი ნაუწყებნი იყვნენ, არამედ ნათხოვნნიც იყვნენ, რომ მიეღოთ მონაწილეობაო; თუნდა ესეც არა ყოფილიყოო, განაგრძობს ავტორი, თვით-მართველობის წარმომადგენელი მოვალე იყო, თვით სცოდნოდა და სხვებისათვისაც შეეტყობინებინა. რაკი თვით-მართველობის წარმომადგენელმა, ე. ი. მე, არ მოვახდინე განკარგულება პანაშვიდზედ ქალაქისაგან მონაწილეობის მიღების შესახებ, ნადიკვრელს გამოჰყავს, ვითომ იმიტომ მოხდა ეს, რომ ქალაქის მამასახლისად სომეხიაო“.

მე ეს ნაწილი ამოვწერე იმის დასანახვებლად, რომ ბ-ნი თათუზოვი თავის დასკვნებს ჩემსას ეძახის, მაგრამ თუნდა ამ სახითაც ჩემად ჩაითვალოს ზემორე ნათქვამი, მაშინაც ფონს ვერ გავა. აბა მოისმინეთ მისი თავის გამართლება:

„მივიღებ რა სახეში ზემორე მოყვანილს წერილს, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ პანაშვიდზედ ქალაქის წარმომადგენელთაგან იყვნენ თუ სუყველანი არა, ისინი მაინც, ვინც წინადამეს ან პანაშვიდის დღეს შეიტყო ეს ამბავი; (ჩემს შენიშვნაში ქართველი მოქალაქენი დასწრებულად ითვლებიან, თათუზოვი-კი აქ იმათ იგულისხმებს: „საიდამ სადაო, წმიდაო საბაო“!) არც მე და არც ერთმა სხვამ თვით-მართველობის წარმომადგენელთაგანმა არ ვიცოდით პანაშვიდის ვადისა არაფერი, არცა-რა ვისგან თხოვნა მიგვიღია მონაწილეობის მიღებისა და ამიტომ ბ-ნი ნადიკვრელი სტყუის. ამისდა დასამტკიცებლად მე დავასახელებ თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომელმაც შეუტყობინებლობა ახსნა იმ გარემოებით, რომ ნება-რთვა პანაშვიდისა მიეღო 11 იანვრის წინადამეს, რის გამოც შეუძლებელი ყოფილიყო ეცნობებინა ვისთვისმე, იმათ გარდა, რომლებიც იმ დღეს საღამოზედ შეხვედროდნენ“.

„ვიკითხოთ ახლა, თუ-კი თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომელიც მოთავე იყო, შეიტყო მარტო 11 იანვარს (ზევით 11 იანვრის წინადამესაო ამბობს ბ-ნი თათუზოვი) ქალაქისა ან თვით-მართველობის წარმომადგენელთ რაღად უნდა სცოდნოდათ თავის თავად, შეუტყობინებლად!“

გულით მინდა დავუჯერო ბ-ნს თათუზოვს. ყველა დამეთანხმება, რომ კეთილის მეზობელის ყოლა სჯობია იმისთანის ყოლასა, რომელიც მუდამ იმის ცდაშია, დაგიმზადოს ან საფრთხე, ან ირეჰი, ან ილინჰა, ან საცერკოდი, ან გულყუ და სხვა მახენი. სამწუხაროდ, კეთილი მეზობლობა არა სჩანს თელავის მამასახლისის პასუხში. ბ-ნი მამასახლისი პირდაპირ-კი ვერ გვეუბნება და ვითომ უნდა გვაგულისხმებინოს, რომ არ იცოდა და იმიტომ არ დაესწრო თვით და აგრეთვე საზოგადოდ სომხობა, ხოლო რომ სცოდნოდათ, უეჭველად დაესწრებოდნენ. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ვითომ, ნათქვამი. წაიკითხეთ ეს წერილი და დარწმუნდებით, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლი ვერ იტყოდა იმას, როგორც ვერ იტყვის, რომ იგი თავისს მშობლებზედ უფროსი იყოს წლოვანებით. ჯერ ერთი, თუნდა 11 იანვრის წინადამეს მიეღო ბ-ნს წინამძღოლს ნება-რთვა, მაინც შეეძლო შეეტყობინებინა ჩვენის პატარა თელავისათვის; მეორე ბ-ნი წინამძღოლი ყოველ დღე კლუბში დაბრძანდება და მარტო კლუბში თქმითაც შეიძლებოდა ეს ამბავი მთელს თელავს მოსდებოდა; მესამე პანაშვიდის დრო ყველამ კარგად იცოდა გაზეთებიდგან, რასაკვირველია, იმათაც კარგად იცოდნენ, ვინც გაზეთებს არა კითხულობენ, რადგანაც გაზეთების მაგიერობას ასრულებს ჩვენი, ესრედ წოდებული, „ბულვარი“ და „სკლადი“, რაც კარგად მოეხსენება ბ-ნს თათუზოვს..

მინდოდა რიცხვი 11 იანვარი ასოთ-ამწყობის შეცდომადაც ჩამეთვალა, მაგრამ მეტად ბეჯითად იმეორება იგი, თორემ ვიფიქრებდი 10 ყოფილა და 11 უქცევია ვისმე-მეთქი. ნამდვილად-კი ნება-რთვა ბ-ნ წინამძღოლს მოუვიდა 9 იანვარს, დილის 10 საათზედ. მან სოფლებშიაც აცნობა ეს ამბავი, 40 ვერსზედ ყვარელშიაც მისწერა. აბა როგორ, ან რისთვის, რა გაჭირებისათვის ეტყოდა ბ-ნ მამასახლისს იმას, რაც დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავს? რომ არც ეტყოდა და არც უთქვამს თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, ამის დასამტკიცებლად ვარდგენ წერილობითს საბუთს **).

**) ამას ჩვენი კორესპონდენტი თან დაურთავს წერილს თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ს. მუაშვილისას, რომლითაც ის სწერს ჩვენს კორესპონდენტს, რომ „პანაშვიდის ნება-რთვა 6 იანვარს მივიღე... კლუბში ყველას შევატ-

⁂ ტფილისის სახელმწიფო თეატრი $189^{8}/_{9}$ წ. სეზონისათვის იჯარით მიეცა ტფილისის სამუსიკო მაღაზიის პატრონს ბ ნს ფარინას, რომელმაც ხაზინის დაუხმარებლივ 120 საოპერო წარმოდგენაზედ ნაკლები არ უნდა გამართოს და ყოველ საღამოს თეატრის სასარგებლოდ 125 მან. უნდა გარდაიხადოს. ამასთანავე ბ-ნმა ფარინამ რამდენსამე საღამოს თეატრი და ორკესტრი უნდა დაუთმოს ადგილობრივ სამუსიკო საზოგადოებას სასიმფონიო საღამოების გასამართავად. ფარინამ ბეთ 5,000 მან. წარადგინა და ყოველგვარი ხარჯი ოპერების გასამართავად თითონ იკისრა ხაზინის დაუხმარებლივ.

⁂ იმ ახალგაზდათა სია, რომლებიც 1876 წ. 1 ოქტომბრიდგან 1877 წლის 1 ოქტომბრამდე არიან დაბადებულნი და წელს უნდა ამოიღონ კენჭი სამხედრო ბეგარის გარდასახდელად, 22 აპრილამდის გამოკიდებული იქმნება ქალაქის გამგეობის დარბაზში და შემდეგ გარდაეცემა ქალაქის სამხედრო საკრებულოს.

⁂ გაზ. „კავკაზს“ სწერენ, რომ ამ დღეებში ახალციხის მაზრის აწყურის სასოფლო საზოგადოების სოფ. სლესას თავისს სახლში მოჰკლეს სოფ. აწყურის მცხოვრებელი ექვთიმე მალიკოვიო. მკვლელი აწყურის ბოქაულმა მეორე ღამეს შეიპყრო სოფ. აწყურში და აღმოჩნდა აბას-რაჯაბ-ოღლი, რომელსაც მკვლელობისა გამო ტფილისის სამოსამართლო პალატამ კატორგა მიუსაჯა და საცალა მიიმალა. დაპატიმრებული გამოტყდა, რომ მე მოვკალი მალიკოვიო. დაპატიმრებულია აგრეთვე ერთი სხვა, რომლის ვინაობაც ჯერ არ გამოურკვევიათ.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ში დაბეჭდილია შემდეგის შინაარსის წერილი თავ. ა. ა. არღუთინსკისა: პეტერბურგის საიმპერატორო საეკონომიო საზოგადოების მახლობლად მყოფისაგან მომივიდა დეპეშა, რომ „შეგვატყობინეთ ამიერ-კავკასიის რომელი სოფლები დაზარალდნენ მოუსავლობისაგან და თავისუფალ-საეკონომიო საზოგადოებასთან დაარსებულს კომიტეტს რით და როგორ შეუძლიან დაეხმაროს ამ სოფლებსაო“. ჩემ მიერ შეკრებილი ცნობები, მაგალ., ზანგეზურის მაზ., განჯის გუბ., სიღნაღისა და თელავის მაზ., ტფილისის გუბ. და ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრების შესახებ არ არიან სრულნი და ამიტომ ვთხოვ ყველას წერილით იქმნება თუ ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით (ადრესი—ქალაქის გამგეობა) გამომიგზავნონ: 1) წარსულ წლის მოუსავლობისაგან დაზარალებულ ამიერ-კავკასიის სოფლების სია; 2) ზარალის რაოდენობა და 3) დაზარალებულ სოფლებს რით შეიძლება, რომ დაეხმაროს საეკონომიო საზოგადოების კომიტეტი.

## ქალაქის საბჭო.

13 აპრილი

წაკითხულ იქმნა სავალდებულო დადგენილებანი ჯირკინების გასუფთავების შესახებ.

ცოტაოდენი კამათი გამოიწვია იმან, თუ რა დროს უნდა დასუფთავდეს ხოლმე ჯირკინები. გამგეობის მიერ შედგენილ სავალდებულო დადგენილების ძალით ქალაქმა უნდა ღამით დაასუფთავოს, ხოლო სახლის პატრონებმა დღისით.

ხმ. ხუდადოვი. უმჯობესია, რომ ყველასთვის ღამით დასუფთავება გახადოდ სავალდებულოდ. ჩვენ ქალაქში უიმისოდაც ცუდი ჰაერია და მაგ დადგენილების ძალით ერთი ორად უფრო მოიწამლება ჰაერი.

საბჭომ ხმის უმეტესობით უარჰყო გამგეობის წინადადება.

გამგეობის წევრი კერმიშევი. (თავმჯდომარეს) სიტყვის ნება მომეცით.

თავმჯდომარე ნებას აძლევს.

ხმ. ხუდადოვი. რაღა დროს მაგ საგანზედ ლაპარაკია, როდესაც საბჭომ უკვე გადასწყვიტა და გაათავა.

თავმჯდომარე ქვანგულოვი. გთხოვთ ნუ მეკამათებით.

ხმ. ხუდადოვი. როგორ თუ ნუ გეკამათებით? თქვენ რომის პაპი ხომ არ ბრძანდებით? მაშ რისთვის ვართ აქ, თუ კი ხმასაც ვერ ამოვიღებთ.

თავმჯდომარე. ზოგიერთა ხმოსნებმა განაცხადეს, რომ საგანი კარგათ არ გამოირკვაო, ამიტომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკის ნებას ვაძლევ.

ხმ. მ. ი. თამამშევი. რაღაა გამოსარკვევი? ყველამ გავიგეთ, რაშიაცაა საქმე.

ხმ. კერმიშევი. უსუფთაობის გატანა ერთი ბოჭკისა ღირს ღამე—3 მან. 50 კ. ხოლო დღისით—1 მან. 20 კ. სახლის პატრონებს რომ დაავალოთ ღამე გატანა, ძალიან ბევრი ფულის გაღება დასჭირდებათ, ამიტომ დღისით ვარჩიეთ.

საბჭომ წინანდელი გადაწყვეტილება შესცვალა და გამგეობის წინადადება მიიღო.

შემდეგ გამგეობის წევრმა აუწყა საბჭოს, რომ მომავალ ტფილისის პოლიტეხნიკუმს სხვა-და-სხვა ქალაქმა და კერძო კაცმა აღუთქვა ერთ ხანად 227,101 მან. შემწეობა, ხოლო ყოველ წლივ 3,200 მან.

ხმ. თ. ბ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი: კარგი იქმნება ჩვენს შუამდგომლობას ეგეც ჩაურთოთ და ვაცნობოთ მთავრობას რამდენი გვაქვს შეკრებილი ფული პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ.

ხმ. ა. ს. ზაზოვი. იმ კომისიამ, რომელსაც პოლიტეხნიკუმის საქმე მივანდეთ, კარგად ვერ აღასრულა თავისი დანიშნულება და ფულის მოკრებას ისე არ ეცადა, როგორც უნდა ცდილიყო. საჭირო იყო კომისიას კაცები გაეგზავნა ყველა ქალაქში მოსალაპარაკებლად და საერთოდ საჭირო იყო უფრო მეტი ფხა გამოეჩინა. გარდა ამისა, ჩემის აზრით, ჩვენ ერთი კაცი უნდა გავგზავნოთ პეტერბურგში, მთავრობის წინაშე ეცადოს, რომ პოლიტეხნიკუმი ტფილისში იქმნას დაარსებული.

თავმჯდომარე. თქვენი წინადადება მხედველობაში იქმნება მიღებული.

შემდეგ საბჭომ რამდენიმე უმნიშვნელო საგანი კიდევ განიხილა და დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. საგარეჯო.** აქ სიმინდის ფასმა კოდზედ რვა აბაზამდე აიწია. უფრო დამძვირდებოდა სიმინდი, რომ მოულოდნელად დიდი სიმინდი არ ჩამოეტანათ კავკასიის მხრიდგან, რომელსაც კავკასიის სიმინდს ეძახიან. ეს სიმინდი წვრილია და უფრო უკეთესადა სთვლიან საქონლის საკვებად, ვიდრე ჩვენს სიმინდს, რადგანაც ამას დარჩომა არ უნდება; ფქვილად კი ორივეს ერთი ფასი აქვს. აი, ამ სიმინდმა შეაყენა სიმინდის ფასი რვა აბაზზედ, ამას არც ემატება და არც აკლდება. თითქმის ესეც იყო მიზეზი, რომ სიმინდის მეიდგელი ჩარჩები უცებ გაქრნენ საგარეჯოდგან. პურის მოსავალი ხომ ძალიან მცირე იყო და ესლა აქ კოდი პური ჰფასობს სამ მანეთად და სამ აბაზად, საოსლე—ოთხ მანეთად.

მშვენიერის ჰავითა და წყლით შემკულია საგარეჯო, მაგრამ ჰავაც და წყალიც საშინლად იხმლება, რადგანაც სანიტარულად ეს სოფელი ცუდს მდგომარეობაშია. საგარეჯოში ათის კომლამდე მცხოვრებელია და ამ ათასს კომლში ერთი მესამედი ძლივს სარგებლობს რიგიანის ჰავითა და წყლით, ნამეტნავად წყლით. წყალი მშვენიერია და მარგებელი სოფლის თავში, ქვეით-დაქვეით საშინლად უწმინდურდება და იმ სოფლის ნაწილში, რომელსაც „ქვეს“ უწოდებენ, სადაც მცხოვრებლები უფრო ბლომად და მჭიდროდ არიან დასახლებულნი, წყალი არ დაილევა. ეს წყალი მილებით არ არის გაყვანილი, რუებიც რიგიანი არა აქვს და ხშირად წყალი ქუჩებზედ მიჩხრიალებს, ჰრეცხავს ნეხვს, რომელიც ბლომად არის გზებზედ, რადგანაც ზედ ატარებენ საქონელი დადის. ამ სოფლის ნაწილში ეს სასმელი წყალი-კი არ არის, არამედ ნეხვის წვენია. მოხდება ხოლმე, რომ საქონლის ფეხის თითონ მცხოვრებლები ქუჩებში და გზებზედ ჰყრიან იმ განზრახვით, რომ ავდრების დროს ჩამონადენი წყალი წაიღებს და შორს გატანის შრომას თავიდგან აცდენს. ამას ხელს უწყობს თითონ სოფლის მდებარეობა, რომელიც ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ არის დაქანებული. ეზოებიც სავსეა საქონლის ფეხით, ყველა ეზოში მთელი გორა სდგას საქონლის ფეხისა მცხოვრებლების ცხვირ წინ. საშინლად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ეს სოფელი. ამ სოფლის ნაწილში ავადმყოფობაც ხშირია და ყველა გადამდები სენი პირველად აქ იჩენს ხოლმე თავს. ხალხი ამბობს, რომ 1892 წელს ხოლერა „ქვეს“ არ გასცილებია, იქ დაიბუდა და ჰჟლიტა მცხოვრებლებსაო. ცუდის წყლის ხმარება ჰბადავს ციებ-ცხელებას და უჩენს ჭიებს, რომლის მიზეზიც არის ის, რომ ერთისა და იმავე რუდგან ხალხიც ჰხმარობს წყალს და საქონელსაც ასმევენ. ამ ორ სენისათვის საგარეჯოს სასოფლო სამკურნალო აუარებელ წამალს ჰხარჯავს. წყლის სუფთად შენახვა ამ ათას კომლიან სოფელში შეუძლებელია, რადგანაც აქაური წყალი მარტო მცხოვრებლების სასმელად არ არის, არამედ საქონელსაც ამას ასმევენ და ვენახ-ბოსტნეულობასაც ამ წყლითა რწყავენ. ამ წყალს სათავე აქვს „ცოკის“ მირში ორ ადგილას, სოფლის თავშივე ოთხ რუდ არის დაყოფილი და მიმდინარეობს სოფლის სხვა-და-სხვა ნაწილში. ყველა სოფლის ნაწილის მცხოვრებლები რუს წყალს თითონა სმენ. შიგვე საქონელს ასმევენ, რწყავენ და ირეცხებიან. ამ გვარს გარემოებაშია წყლის რუები საგარეჯოში და განა შესაძლებელია იმათი სუფთად შენახვა, თუნდაც სანიტარული მდგომარეობა სოფლისა სამაგალითო იყოს. რასაკვირველია, რიგიანი სანიტარული მდგომარეობა ცოტად მაინც განაუკეთესებს წყალს, რადგანაც ეზოების, რუების, გზების გასუფთავება, რომელზედაც მიდის წყალი, აცდენს წყალს შერევას უსუფთაობასთან, მაგრამ ყოველ

---

ეს არა კმარა. ბ-მა მამასახლისმა 11 იანვარზედ ბევრით ადრე იცოდა, რომ 11-ს იანვარს პანაშვიდი უნდა გარდაგვეხადნა. არც ეს კმარა. ბ-ნ მამასახლისს ბეჯითად ნათხოვნი ჰქონდა: 1) თელავს რითიმე უკვდავეყო სახელი გმირი ერეკლესი; 2) პანაშვიდზედ დასწრებით პატივი ეცათ თვით-მართველობასა და მოქალაქობას. ესევე გარდაცემული ჰქონდათ ბ-ნ მამასახლისის ზოგიერთ თანამოსამსახურეთ. პირველში ბ-ნი მამასახლისი იმ აზრისა იყო, რომ სტიპენდია დაეარსებინა ქ. თელავს მეფე ერეკლეს სახელობაზედ და ამისათვის ზოგი ფული ქალაქს გამოეღო, ზოგიც ხელის მოწერით შეეკრიბათ. რომ ყველა ეს მტკიცე ჭეშმარიტებაა, დასამტკიცებლად ვარდგენ რედაქციაში წერილობითს საბუთს ***).

აქ რომ ჩამოვა მკითხველი, იკითხავს, თუ ყველა ეს მართალია, თუ ბ-ნს მამასახლისს სტიპენდიების დაარსებაცა ჰქონდა განზრახული, როგორ მოხდა, რომ, სტიპენდიები-კი არა, პანაშვიდზედ დასასწრებლადაც აღარ წაბრძანდა და არც სხვას დაავალა, თუმცა თითონაც იმავე დროს ქუჩა-ქუჩა დაიარებოდაო?

დიახ, მართლა რომ საკითხავია ეს და ვინც არ იცის ნამდვილი, მრავალი ეჭვი დაებადება. რად მოხდა ყველა ეს, თუ გნებავთ შეიტყოთ, გადაშალეთ „ნორ-დარის“ მე-13 № და ამის პასუხს ამოიკითხავთ ყოველ აქაურ საქმის თანამოზიარისას. რასაც ბ-ნი თათუზოვი ჰმალავს, ბ-ნი სიმონ შავერდიანი განცხადებულსა ჰყოფს. აი, რას ჰბრძანებს ბ-ნი შავერდიანი, რომელიც ზედამხედველი იყო თელავის სკოლებისა, ვიდრე მთავრობა დახჭკეტავდა ამ სკოლებს:

„ბ-ნო ნადიკვრელო, გნებავთ გაიგოთ, სომხებმა რატომ არ მიიღეს მონაწილეობა გმირის ხელმწიფის პანაშვიდზედ? მაგის დამნაშავე თქვენა ბრძანდებით, ბ-ნო ნადიკვრელო. ნუ თუ დაგავიწყდათ თქვენი გოდება თელავისა და საზოგადოდ მთელის კახეთის სომხების წინააღმდეგ? ნუ თუ დაგავიწყდათ, რომ 3—4 წლის წინად მაგავე ფურცელში სადაც ეხლაა დაბეჭდილი თქვენი წერილი, თელავის სომხებს გაურჩევლად გაფუჭებულს და წურბელებს უწოდებდით? ნუ თუ დაგავიწყდათ თქვენი შესანიშნავი წერილები თელავის სომხის აშქრების შესახებ? ნუ თუ დაგავიწყდათ თქვენი წერილები, „ივერია“-ში დაბეჭდილი, სადაც სასულიერო წოდებას საზარელის საღებავით ჰღებავდით? ნუ თუ თქვენ არ იყავით, ბ-ნო ნადიკვრელო, რომ წინადადებას იძლეოდით „ივერია“-ში სომხების გარეკვისას და როდესაც ქუთაისში ურიებსა და ქართველებს შორის შეტაკება მოხდა, თქვენ გაუწითლებლივ წინადადებას იძლეოდით სომხების გაწყვეტისას? ნუ თუ თქვენი დაწერილი სომხებს არ წაუკითხავთ? წაიკითხეს, როგორ უწოდებდით წურბელებს, ზნეობით დაცემულებს, როგორ ჰლანძღავდით სასულიერო წოდებას, როგორ ჩევდით კახეთის სომხების გარეკვასა და გაწყვეტას. მაშასადამე, სომხებისა და მათ მეზობელ ქართველებს შორის გულის გამციებელი არა თუ შორიდგან მოსული მასწავლებლები ყოფილან, არამედ თქვენ, ბ-ნო ნადიკვრელო და თქვენნი მსგავსნი“.

ვგონებ საკმაოდ აეხადა ფარდა და გამოირკვა, რისთვისაც არ დაესწრნენ სომხები არა თუ თელავში გარდახდილ პანაშვიდზე, არამედ სხვაგანაც. ბ-ნს თათუზოვს, როცა თანახმა იყო, ჯერ ალბად არა ჰქონდა შავერდიანის მიერ დასახელებული საბუთები განხილული და ან ფირმანი არ ჰქონდა იმისგან მიღებული. თურმე ნუ იტყვით, სომეხთა საქციელის მიზეზი ერთი ვიღაც ნადიკვრელი ყოფილა თვისის ნაჯღაბნის წერილებით, თუმცა ნადიკვრელის წერილებში საზოგადოდ სომხობა როგორც ეროვნება და თვით ტფილისის გუბერნიის სომხობის უმრავლესობა მუდამ პატივით ყოფილა მოხსენებული, ვერც ბ-ნი შავერდიანი და ვერც სხვა ერთს წინადადებასაც ვერ იპოვის, რომ სომხობის უმრავლესობის შეურაცხებას, ან თუნდა ურიგოდ ხსენებას შეიცავდეს, მაგრამ რაც ჩარჩებისა, მტაცებლებისა, მძარცველებისა, მკრეჭავების შესახებ თქმულა, ბ-ნს შავერდიანს მთელის სომხობის სახელობით მიუღია და ამნაირის „ჯაჭვითა და ჯინჯილით“ შეიარაღებული ვითომ პატრიოტობს! ქუთაისის ურიების გამო დაწერილს წერილში „ჩარჩ-ბაცაცობა თუ ინდუსტრია“ და „მახვილი თუ ინდუსტრია“ ის აზრი იყო გამოთქმული, რომ სომეხმა ჩარჩებმა (რადგანაც დღეს ჩარჩობა მარტო იმათ გაუხდიათ ხელობად) თუ ხელი არ აიღეს თავისს საზიზღარ მოქმედებაზედ, იქნება იგივე გამოიწვიონ, რაც ქუთაისში ურიებმაო; აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ თუ სამღვდელოთაგან ისინი, რომელნიც საეკლესიო კათედრიდგან თავისის ქადაგებით არღვევენ ორ მეზობელ ერთა შორის ძმურს განწყობილებას და იმათაც, ვინც ამისთანა აზრების გავრცელებას ხელს უწყობს, ხელი არ აიღეს, თვისი მოქმედება არ შესცვალეს, უეჭველად ამ ორ ერს შორის შურისძიება ჩამოვარდებაო. ეს დაუხვევიათ ხელზედ ცრუ-პატრიოტებს და რაც შეუძლიანთ არწმუნებენ სომხობას, რომ ჩარჩ-ბაცაცებიც, მტაცებლებიც, წურბელებიც, მთელი სომხობააო.

აბა, ბ-ნო შავერდიანო, ერთი წერილი იპოვეთ ნადიკვრელისა, სადაც,

---

ყობინე... სოფლებში და ყვარელშიაც მივწერე... თათუზოვისათვის არა მითქვამსრაო“. ეს წერილი რედაქციაშია წარმოდგენილი და მსურველს შეუძლიან მისი ნახვა. რედ.

***) ეს მეორე წერილი ეკუთვნის თელავის ერთს ხმოსანს და იგი, სხვათა შორის, სწერს ჩვენს კორესპონდენტს: „11 იანვრამდის კრება აღარ იყო დანიშნული და ამიტომ კერძოდ გარდავეცი ქალაქის მამასახლისს შემდეგი: 11 იანვარს სრულდება ასი წელი იმ დღიდგან, რაც გარდაიცვალა ერეკლე მეფე, და არ იქნება ურიგო ქალაქმაც რითიმე გამოიჩინოს თავი და როგორც იმ დღეს პანაშვიდზედ დაწრებით, აგრეთვე სხვაფრივ რაიმე სახსოვარი დასტოვოს მისდა მოსახსენებლად... ბ-ნმა მამასახლისმა კერძოდვე გარდმომცა: მოვახერხოთ, სტიპენდია დავაარსოთ მეფე ერეკლეს სახელობაზედ. მე დიდი მადლობა გარდავუხადე და აზრი მოვუწონე. ესევე ჩემი სიტყვები გარდავეცი ხმოსნებს სარქის მიღდისოვს და არტემ ტერ-სარქისოვს, რომელთაც ვთხოვე, სხვებისთვისაც გარდაეცათ. არ შეუძლიან არც ერთს იმის თქმა, რომ არ ვიცოდით, როდის იყო პანაშვიდიო“. ეს წერილიც რედაქციაში წარმოდგენილი. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე დასუფთავება ქუჩა-ეზოების შეუძლებელია. ამასთან განა საკმარისი არ არის დღეში საქონელმა რუებიდგან ორჯელ მაინც დალიოს წყალი, რომ ამით გაუსუფთავდეს წყალი და მავნებელი გახდეს ადამიანის ჯანმთელობისათვის. ერთის სიტყვით, მცხოვრებლებისათვის სულ სხვა წყალი უნდა იყოს სასმელად. აქ საჭიროა ისეთი კაცი, რომ ხალხს ჩააგონოს, იმ წყლის ხმარება სასმელად, რომელსაც ისინი ჰხმარობენ, მალიან მავნებელია ჯანმთელობისათვის და უნდა ყველა ღონე იღონოთ, სუფთა წყალი იხმაროთ სასმელადაო. ეს მოსახერხებელია, თუ სათავიდგან მილებით წყალს გაიყვანენ იმ სოფლის ნაწილებში, სადაც უფრო მეტად უვარგისად ხდება წყალი სასმელად. ამას მოთავეობა უნდა და ადვილადაც მოხერხდება, თუ ადგილობრივი შეგნებული ხალხი სოფლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იმოქმედებს. (შეერთებულის ძალით მოქმედების შედეგი იყო ისიც, რომ ბ-ნ ა. ი. მეთაურობით დაარსდა სოფ. სართიჭალას ფოსტის განყოფილება.)

გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისე იმღვრევა წყალი ავდრების გამო, რომ ტალახი მოდის, ამ წყლის დალევა ამ დროებში შეუძლებელი ჰხდება. მაშინ ერთად-ერთი ხსნა, რომ წყურვილით არ დაიხოცოს კაცი, წყაროა, რომელიც აზნაურ ქურდოვანიძეებმა გამოიყვანეს. იქ უიმისოდაც სუფთა წყალია, რადგანაც სოფლის თავია და ისე არ იწამლება; მხოლოდ ეს წყალი დიდს სიკეთეს უწევს ხალხს ავდრებში, როდესაც რუების წყალი იმღვრევა. არიან აქ სანიტარები სრულიად ამაოდ, ამათ თავიანთ თანამდებობისა არა ესმით რა. ესენი ისე უყურებენ თავიანთს თანამდებობას, როგორც გამოსარჩენ საშუალებას, ეგრე ყოველი სოფლის მოხელე. ამათი ფარ-ხმალი დარბევაა და ასეც იქცევიან, როდესაც რომელისამე გლეხის ეზოში დიდ გროვას საქონლის ფეკალისას ჰნახავენ, იმიტომ-კი არა, რომ ეს უსუფთაობა მავნებელია ხალხის ჯანმთელობისათვის, არამედ იმიტომ, რომ ნარბევი გაიტანონ, მიკიტნის დუქანში დააგირავონ და გადაჭკრან. საწყალი გლეხი დასუფთავებს თავისს ეზოს და მიჰმართავს სანიტარებს ნარბევი დაუბრუნონ; ისინიც უთითებენ მიკიტნის დუქანზედ, საიდგანაც გლეხი იხსნის თავისს ნივთს. ბევრი ბოროტ-მოქმედება შეიძლება მოხდეს, რადგანაც ხალხის ჯან-მრთელობისათვის ზრუნვა უვიც ხალხს აბარია; ეს ასეც ხდება, რადგანაც სოფელში დიდი უსუფთაობაა და დარბევა-კი თავის წესსა და რიგზედ მიდის. ეს უბედურება ადვილი ასაცდენია თავიდგან, თუ-კი მოინდომებს და, ვისიც ჯერ არს, უურადღებას მიაქცევს ამას. ყველა ზნეობრივად მოვალეა ხალხის ჯანმრთელობისათვის იზრუნოს. აქ საკმარისად არიან განათლებულნი და შეგნებულნი კაცნი, რომლებსაც შეუძლიანთ ეს საქმე პირნათლად შეასრულონ და არც დაიზარებს თვითოეული მათგანი, სოფლის რომელიმე ნაწილი ჩაიბაროს და ადგილობრივის პოლიციის დახმარებით გააუმჯობესოს ამ ნაწილის სანიტარული მდგომარეობა. სასურველია, რომ ჯანმრთელობისთვის ზრუნვა სოფელში შეგნებულ ხალხის ხელში იყოს და არა უვიც ხალხისა, როგორც დღეს არის.

აქაც, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, მეფე ირაკლის გარდაცვალების ასის წლის შესრულების გამო 11 იანვარს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ადგილობრივ სამღვდელოებისაგან.

ელისაბედაშვილი

# უცხოეთი

—

**ისპანია და შეერთებული შტატები.** როგორც ამერიკასა, აგრეთვე ისპანიაში ამ ჟამად დიდი მოძრაობა და მზადებაა. ხალხი მომავალ ომზედა ჰფიქრობს და იმაზედ-ღა ლაპარაკობს. პატრიოტულ მანიფესტაციებს და სიტყვებს ხომ დასასრული არა აქვს. ამერიკის შტატების სხვა და სხვა ქალაქსა და სოფელში მრავალი მანიფესტაცია მოახდინეს ისპანიასა და შტატების პრეზიდენტის მაკ-კინლეის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, სცდილობდა ისპანიასა და შტატების უომრად შერიგებას. ზოგ ქალაქში ისპანიის მინისტრ-პრეზიდენტის საგასტას სურათები და ისპანიის დროშები ბრბომ ნაკუწებად აქცია და ქუჩა-ქუჩა ათრია. ნიუ-იორკში მაკ-კინლეის სურათი გამოჰკიდეს და ქვეშ მოუწერეს: „მაკ-კინლეი მშიშარა არის“-ო. რიჩმონდში მიტინგის დროს ხალხმა ჯერ თოფები ესროლა მაკ-კინლეისა და იმის მეგობრის მარკ ხანნის სურათებს და შემდეგ ორივე სურათი დასწვა. რამდენად მოწადინებულია ამერიკის ხალხი ომს, იქიდგანა სჩანს, რომ ქალაქმა ჩიკაგომ დაადგინა ომის გამოცხადების დღეს ზარბაზანის ცლითა და ეკკლესიების ზარების რეკვით მიეგებოს. სხვა ქალაქებმა გადასწყვიტეს ამ დღეს ჩირაღდანი გამართონ და პარაკლისები გადაიხადონ. გაზ. „Sum“-ის სიტყვით, ქალაქ ბრუკლინის ოცდა ათ ახალგაზდა ქალს აზრადა აქვს დედათა რაზმი შეადგინონ და ომის დროს დაჭრილთა მოვლა-პატრონობა იკისრონ.

ასეთივე ამბებია ისპანიაშიაც. თითქმის ყველა დიდ ქალაქში პატრიოტული მანიფესტაცია მოხდა. მაგრამ განსაკუთრებით გალაგამ ისახელა თავი. ქუჩები ხალხით გაიტენა. ბრბომ ამერიკის საელჩოს შენობის ფანჯრები და კარები ერთიან მილეწ-მოლეწა, შემდეგ მაღალი კიბე მიადგა, ზევიდგან ამერიკის ღერბი ჩამოიღო და ქუჩა-ქუჩა დაუწყო თრევა. ამავე დროს მანიფესტანთა ერთი ნაწილი გაემართა სერვანტესის თეატრისაკენ, სადაც ამ დროს ოპერას „სომნამბულს“ თამაშობდნენ. ბრბო თეატრის დარბაზში შევარდა და მოითხოვა წარმოდგენა შეაჩერეთო. ამ დროს ორკესტრმა საერო საგალობელი დაუკრა, დამსწრე საზოგადოება ფეხზედ წამოიჭრა და ხმა მაღლა დაიძახა: „გაუმარჯოს ისპანიასაო!“ ამაზედ არა ნაკლები ამბავი ვალენსში მოხდა, სადაც სტუდენტებმა ისეთი არეულობა მოახდინეს, რომ მთავრობა იძულებული გახდა უნივერსიტეტში სწავლა დროებით შეეჩერებინა. როდესაც ბარსელონაში ამერიკის სენატის გადაწყვეტილება შეიტყეს, მთელი ქალაქი მოძრაობაში მოვიდა. თითქმის ყველა ქუჩა ხალხით გაიტენა. ბრბომ პატრიოტული სიმღერები დაიწყო და ამერიკის საელჩოსაკენ გაემართა, მაგრამ პოლიცია და ჯარი დაჰხვდა და გაჰფანტა.

კუნძული კუბა მდებარეობს ამერიკის მახლობლად, მექსიკის ყურესა, კარაიბის ზღვასა და ატლანტიის ოკეანეს შუა. კუბას მრავალი სხვა კუნძული ახვევია გარეშემო და ყველა მათ ერთად ანტილიის კუნძულები ეწოდებათ. მცხოვრებელთა რიცხვი ერთ მილიონ ნახევარს აღემატება, ხოლო თვით ადგილი 183 ათას ოთხ-კუთხ-კილომეტრს შეადგენს. მას შემდეგ რაც კუბა კოლუმბმა აღმოაჩინა, იგი ისპანიას ეკუთვნის, თუმცა იმის დასაკუთრებას არა ერთხელა და ორჯელ ჰლამობდნენ ფრანგები, ინგლისელები და ჰოლანდიელები. უწინ კუბის გარდა ისპანიის საკუთრებას შეადგენდნენ ანტილიის თითქმის ყველა კუნძული და აწინდელი ამერიკის ნახევარიც-კი. ერთ დროს ისპანია ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს შეადგენდა. აი როგორ სახელწოდებას ატარებდა ისპანიის მეფე ფილიპე მე-II: „კოროლი სრულიად ისპანიისა და ორსავე სიცილიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იერუსალიმისა, მფლობელი აზიისა, აფრიკისა და ამერიკისა, ჰერცოგი მილანისა და ორსავე ბურგუნდიისა და ხელმწიფე ნიდერლანდიის ჩვიდმეტის პროვინციისა“. მაშინდელის ისპანიის სახელმწიფოს მცხოვრებელთა რიცხვი სამოც-ოთხმოც მილიონს აღემატებოდა, ხოლო დღეს 18 მილიონსაც ძლივს შეადგენს. აუარებელ ახალშენთაგან ისპანიას კუბისა, პორტო-რიკოსა და ანტილიის სხვა კუნძულებს გარდა, ორი-სამი პატარა ახალშენი-ღა შერჩა აფრიკასა და აზიაში. მათ შორის კუნძული კუბა ყველაზედ მდიდარია და დღეს ისპანიას ესეც ეცლება ხელიდგან. აღელვება და ამბოხება კუნძულ კუბაში ჯერ ისევ 1717 წელს დაიწყო და მას შემდეგ იგი თითქმის არ მოსპობილა. ისპანიის მთავრობა ისე სასტიკად ექცეოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისეთ დიდ გადასახადს ართმევდა მათ, რომ კუბელები, მუდამ თოფ იარაღში ჩასმულნი, მარჯვე დროს ეძებდნენ თავი დაეღწიათ ისპანიის მონობისაგან; მაგრამ დღემდის თავიანთი სურვილი ვერ განახორციელეს: აუარებელის ჯარის წყალობით ისპანია მუდამ ფრთებს აკვეცავდა კუბას და ყოველ აჯანყების შემდეგ ერთი ორად უფრო სტანჯავდა. 1868 წელს მომხდარი ამბოხება ისპანიამ ცხრა წლის შემდეგ ძლივს ჩააქრო, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც 100 ათასი ჯარის კაცი შეაბრძოლა თავ-გამოდებულ 26 ათას მეამბოხეს. მეამბოხეთ ომის დროს ხელს უწყობდა კუნძულის ადგილ-მდებარეობა, ის უთვალავი მთა-გორები და ღელე ხრამები, რომლებშიაც გზის გაგნება მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებელს შეუძლიან. გარდა ამისა მუდმივმა ბრძოლამ კუბელი საუკეთესო, შეუშინებელ და გულად მეომრად გარდააქცია. უკანასკნელის ამბოხების დროს ისპანიამ კუნძულის დასამშვიდებლად პირველად მხოლოდ 23 ათასი კაცი გაგზავნა გენერალის ისასის მეთაურობით. როდესაც ამ გენერლმა ვერაფერი გააწყო თავზედ ხელ-აღებულ მეამბოხეთა წინააღმდეგ, მთავრობამ კუბის ჯარის მთავარ-სარდლად გენერალი მარტინეც-კომპასი დანიშნა, ამავე დროს თვით ჯარიც ერთი ორად გაამრავლა, მაგრამ ვერც მარტინეც-კომპასი გახდა რასმეს კუბელებთან, ამიტომ 1895 წელს იმისი ადგილი გენერალმა ვეილერმა დაიჭირა. 1896 წელს კუბაში მყოფ ისპანიის ჯარის კაცთა რიცხვი 185 ათას კაცს აღემატებოდა და ეს ამოდენა ჯარი ებრძოლებოდა იმ კუნძულის მეომართ, რომლის მცხოვრებელნი დიდით პატარამდე სულ 400 ათას კაცზედ მეტს არ შეადგენენ. მიუხედავად ამისა ვეილერმა მეამბო-

---

ზემორე აღნიშნულის აზრის გარდა, სხვა იყოს რამე გამოთქმული. თუ ჩარჩობა და მისთანობა საზიზღრად მიმაჩნია, ეს ჩემი რას გაკვირვებიათ! აიღეთ „მშაკი“-ს ნომრები, განსაკუთრებით მისის დამაარსებელის განსვენებულის არწრუნის დროინდელი, და ჰნახავთ, რომ ის მათრახი, რომლითაც ჰგვემავს ჩარჩობა-მძარცველობას იმავე სომხებისას განსვენებული არწრუნი, ნადიკვრელის უღონო სიტყვასთან შესადარებელი არ არის! თუ-კი არწრუნის მკლავის სიმსხო მათრახმა, რომელიც არა ერთ გზის მოჰხვედრია თვით „ნორ-დარის“ უგზო-უკვლო მიმართულებასაც, არ ჩამოაგდო ქართველებსა და სომხებს შუა განხეთქილება, რაღა ნადიკვრელის სიტყვამ იქონია ასეთი ძალუმი გავლენა? წარმოვიდგინოთ, რაკი ძალიან გინდათ, ბ-ნო შავერდიანო, რომ ნადიკვრელის წერილებში მრავალი უსამართლობა, ცილისწამება, ბოროტება, ზაკვა, ჭორი, ნაცილი იყო სომხებზედ, განა ეს გაგამართლებთ თქვენ, საზოგადოდ სომხობას და კერძოდ ბ-ნ თათუზოვს? განა ნადიკვრელის სამაგიეროდ ქართველობას უნდა მიუზღოთ? თუნდა მთელი თანამედროვე ქართველობაც ყოფილიყო დამნაშავე სომხობის წინაშე, განა ასის წლის წინად გარდაცვლილის თქვენის მწყალობელისა და თქვენთვის თავდადებულის მეფისათვის უნდა გეზღვევინებინათ?

დიდად პატივსა ვცემ თქვენს გულახდილობას, ბ-ნო შავერდიანო. თქვენის წერილით ცხადად დაგვანახვეთ, როგორ სარგებლობენ ყველაფრით ისინი, ვის ხელშიაც ცხოვრების სადავეა, როგორ უხვევენ თვალებს უმრავლესობას სომხობისას! ძნელი მისახვედრი იყო აქამდის, როგორ ახერხებდა მცირე რაზმი სომხობისა მთელის სომხობის წაწევ-წამოწევას და დღეს თქვენმა წერილმა დამანახვა „ძაღლის თავი სადაც ჰმარხია“. თურმე ეს მცირე რაზმი აშინებს სომხობის უმრავლესობას გაწყვეტა-გადასახლებით და ათასის სხვა მოჭორებულის ნაცილით და აჯერებს, თუ ჩვენ არ დაგვემორჩილეთ, ცუდად წავა საქმეო. როდემდის გასტანს ესა? ხომ მოგეხსენებათ, „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“. შეიტყობენ და მაშინ?!. მე კი მადლობელი ვარ, ბ-ნო შავერდიანო, თქვენის წერილისა და არ ვიცი თქვენს მეგობარს ბ-ნ თათუზოვს რა პასუხს გასცემთ, რომ იმისი საიდუმლო ასე უდროვოდ გამოამჟღავნეთ. განა როგორ გგონიათ! ცოტა ზარალი კი არ მოუტანეთ თქვენი წერილით! აქნობამდის სომეხთა უმრავლესობის თითოეულ წაწევ-წამოწევას მეჯილავეები სულ ათ-ათ თუმნიანებათ ახურდავებდნენ და ამას იქით იქმნება თქვენმა წერილმა საზოგადოდ ჯიბეში ხელის ფათურს ცოტა დაუშალოს, რაკი შეიტყობენ, რაც აქამდის დამალული და ცრუ პატრიოტობის სანათით იყო განათებული. როცა წერილსა სწერდით, უნდა შეგეტყოთ, თქვენი მეგობარი ბ-ნი თათუზოვი როგორ პასუხს აპირებდა. დარწმუნებული ვარ, არც თქვენ გინდოდათ ბ-ნის თათუზოვის გათახსირება, არც მე მინდოდა, მაგრამ რას იზამ, ნათქვამია: „რასაც კაცი თავის თავს უზამს, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამსო“.

თქვენი ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, სიღნაღში უარესი მომხდარა! ჭეშმარიტად, თქვენდა სანუგეშებლად მინდა გიამბოთ. მომრიგებელ-მოსამართლეს დაუჯარიმებია მეზურნეები, რომელნიც წყალ-კურთხევის შესრულების დროს სამრეკლოზედ იდგნენ და უკრავდნენ ზურნას. თუმცა თვით მეზურნეების დამქირავებელნი ასცდენიან სასჯელს, მაგრამ ამათ სამაგიეროდ ისეთი საააპელაციო საჩივარი დაუწერიათ მეზურნეებისათვის, რომ თურმე ქვას გაჰხეთქავს! იცით რა მოუხსენებიათ აპპელაციაში? იმიტომ ვუკრავდით ზურნას, რომ მართლ-მადიდებელნი წირვას ქართულს ენაზედ ასრულებდნენო. მართალია, წირვა შესრულებულა რუსულად, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქართულს ენაზედ სრულდებოდა, როგორც გგონიათ, ეს სააპელაციო საბუთია? ეს ხომ თვით მეზურნეებმაც იციან, რომ სააპელაციო საბუთი არ არის. მაშ რად იქმნა იგი აპპელაციაში ჩაწერილი? სწორედ მოგახსენოთ, ეს ამბავი თქვენს წერილებს აღემატება მნიშვნელობით!..

მართლა და რას ჰნიშნავს: მართლ-მადიდებელნი ქართველნი წირვას ქართულად ასრულებდნენო? აქ საყურადღებო ის-კი არ არის, რომ ოლქის სასამართლო მიაქცევს თუ არა ამ გარემოებას ყურადღებას, არამედ ის, რომ ქართველებს ქართულ ენაზედ წირვა დანაშაულად და ისიც მოპარულ დანაშაულად ჩაუთვალეს, რის მთავრობის წინაშე განმჟღავნებასაც ისეთის გულ-მოდგინებით სცდილობენ, რომ პირველსავე არზაში აღნიშნეს; საყურადღებოა იმიტომაც, რომ ქართულად შესრულებულ წირვას შეიძლებოდა ზურნითაც და სხვითაც, რუსული ხომ არ იყოო. მე რომ ამის გამო ვთქვა, კერძოდ არ მოქცეულან ამ უტანელის აზრის აპპელაციაში ჩამწერნი, რომ ამისთანებში თვით სომხობამაც უნდა შეიძლებოდა, თორემ შერიგიძიება ფეხს აიდგამს და არაფერთვის არც სასიამოვნო იქმნება და არც სასარგებლო-მეთქი, — გამოვა ბ-ნი შავერდიანი და აუცილებლივ დაიწყებს ძიდგვას: „ნადიკვრელი კეტებით სცემდა ქართველებს“ და სხ.

ბ-ნი შავერდიანი თავისს წერილს ასე იწყებს: „სომხების შეურაცხყოფა მოდგე გამბეჩა“-ო. მე კიდევ ამით დავათავებ, რომ ეს „მოდგე“ მაშინ გადაერიდება, როცა ბ-ნი შავერდიანი, თათუზოვისა და მათი მომდევრებისაგან, აღიარებენ სწორედ ხვნას და სწორედ თესვას.

ნადიკვრელი

ხენი ვერ დააწყნარა და კუბაში მშვიდობიანობა ვერ დაამყარა. იმისი მოწინააღმდეგე, მეამბოხეთა მოთავე გამოცდილი და მოხერხებული მაქსიმო გომეცი თავის ერთიმუჭა მეომრებით მამაცად უხვდებოდა ურიცხვ ჯარს და ვაჟკაცურად იგერებდა მას. შარშან მთავრობამ ვეილერი უკან გაიწვია და იმის ნაცვლად ბარბალი ბლანკო გაგზავნა კუბაში, რომელიც კუბელების დასამშვიდებლად სხვა პოლიტიკას დაადგა: იგი ცდილობდა ცეცხლისა და მახვილის ნაცვლად მოლაპარაკებით დაემყარებინა მშვიდობა კუნძულში, მაგრამ სასურველ ნაყოფს ვერ მიაღწია. ამ დროს შეერთებულ შტატების გემიც ააფეთქეს. ამერიკას, რომელიც დიდი ხანია კუბას თვალს არ აშორებდა ამით კარგი საბაბი მიეცა კუბის საქმეში ჩარეულიყო და ჩაერია კიდეც.

## ნაკვესი

ტფილისის ცხენის რკინის გზაზედ.

— არ გესმით, სადა გაქვთ საჩივრის აღსანიშნელი დავთარი?

— არა გვაქვს, რა საჩივარი უნდა ჩაგეწერათ?

— სწორედ ისა, რომ საჩივრის დავთარი არა აქვთ მეთქი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში შემდეგი საყურადღებო ამბავია დაწერილი ერთის მოგზაურისაგან, რომელიც დიდ ხანსა ყოფილა ინდოეთში. ჩემთვის უთქვამთო, ამბობს ეს მოგზაური, რომ ბევრ ადგილას აქვთ ჩვეულებად გამოასალმონ ხოლმე წუთისოფელს მოხუცებული კაცები. მიიყვანენ ხოლმე მდინარესთან, ათქმევინებენ თავიანთის ღმერთის სახელს, მერე თავს წყალში ჩაუყოფენ და იმდენს ხანს უჭირავთ ისე, ვიდრე კაცი დაირჩობა. მაგრამ ისეც მომხდარა, რომ მოხუცებულს კაცს უარი უთქვამს ღმერთის სახელის ხსენებაზე და ასეთს ვერ დაარჩობენ, მეტი გზა არ არის, შინ უნდა წამოიყვანონ და სხვა დრო აირჩიონ, იქმნება ეხლა მაინც დასთანხმდესო.

ბრიტანიის ჯარის მკურნალმა სიმსონმა, რომელიც დიდხანს იყო ინდოეთში, მითხრა აგრედვე, რომ იქაურ ხალხს ძლიერ ეშინიან მკვდარის კაცისა, თუნდაც თავიანთი მშობელი იყოს გარდაცვლილი. სიკიმის მთებში, სადაც ეს მკურნალი მსახურობდა, ერთხელ შეხვდა ნაცნობს ინდოელს, რომელსაც ზურგზე კალათა წამოეკიდნა.

— საით მიდიხარ?

— ქალაქში, აი მამაჩემი მიმყავს, ძლიერ ავად არის.

მკურნალმა გადახედა კალათაში ავადმყოფს და ჰნახა, რომ მომკვდარიყო კიდეც.

— მამა შენი მომკვდარა კიდეც, უთხრა მკურნალმა ინდოელს.

ამის გაგონებაზე ინდოელმა იმ წამსვე თავისი მამის გვამი კალათიანად გადააგდო ხევში, ერთიც არ დაუხედნია, რომ დარწმუნებულიყო, მართლა მოკვდა, თუ არა და იმ წამსვე მოჰკურცხლა, თითქოს ეშინოდა, მკვდარი უკან არ დამედევნოსო. რაღა თქმა უნდა ინდოელები ხორც სრულებით არა სჭამენ. მახსოვს ერთი სასაცილო ამბავი. შუაგულ ინდოეთში ერთხელ დიდი ღამურა მოვკალი, მინდოდა მენახა, რითი განირჩევა ჩვენებურ ღამურებისაგან. გავსინჯე და გადავაგდე. რამდენსამე დღის შემდეგ ვნახე, რომ ჩემ მიერ მოკლული ღამურა ერთის ჩემის ცხენის უნაგირზე ჰკიდია.] „რად მოგაქვს ეგ ლეში, ვკითხე ჩემს მსახურს ინდოელს.“ — „მე მეგონა მიირთმევთ მეთქი“, მიპასუხა მსახურმა. უნახავს, რომ გზაში ხობსა ვხოცავდი თოფით და მერე ვსჭამდი მაშინაც-კი, როდესაც ცოტა სული დაეცემოდა ხოლმე და ამიტომ ეგონა, რომ ღამურას ხორცსაც იქმნება მიირთმევს ჩემი ბატონიო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მე)

სქელ ქაღალდზე ხუცურ ნუსხურად ნაწერი კრებულია (№ 179), ბოლო აკლია (სულ 574 გვერდია).

სათაური კრებულისა და პირველის წერილისა:

წიგნი. დასაწყისი ძუელისა და ახლისა სჯულისაჲ. პირველ არა ყოფილი ცაჲ და ქუეყანა ღმერთმან ყოფილმან და მყოფმან ოდეს ინებაჲ ცისა და ქუეყანისა ყოვლისა მშვნიერისა მოძრავისა და უძრავისა არსისა და არა არსისა მიწისა კაცად ქმნა ადამისითგან აბრაჰმისამდე და ნოესითგან მოსეს სასწაულისა ფარაოსი და ისრაელთაჲ ყოველთავე სრულად ღუთისაჲ ბრძანებითა გამოცდით აღწერილი ესე მოგვითხრობს დასაწყისთა და რჯულთა პირველთა ღუთისაჲ ცნობათა და გამოკვლევათა (?) ყოველთავე:

ამის გაგრძელება (გვ. 174):

გამოსლვაჲ ეგვპტით ძეთა ისრაელისთა, აღწერილი მოსესი, კაცისა ღუთისაჲ და წინასწარმეტყველისაჲ:.

ამ წერილში (გვ. 1—302) მოკლებით, მკვირცხლის ენით მოთხრობილია ძველის აღთქმის ისტორია ქვეყნის შექმნიდამ რჯულის მოცემამდე. დანაშთენი ნაწილი ამ ფრიად საყურადღებო წერილისა მწერლს აღარ გადმოუწერია.

ბაქრაძის თქმით, ქართლის ცხოვრებაში (გვ. 84, 123) მოხსენებული „ნებროთის წიგნი“ უნდა იყოს ესადამის ცხოვრება, „რომელიც აღმოჩნდა დავით გარესჯის წიგნთა საცავში და მოითხოვს განხილვასა“.

და აი ჩვენ განვიხილეთ იგი და ვცანით, რომ მოთხრობილია, ისტორიულ სინამდვილის თანახმად, ძველი აღთქმის ისტორია საერო საგანთსავად და მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „ნებროთის წიგნთან“.

მეორე წერილი (გვ. 305—485):

ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბასი. გუაკურთხენ მამაო:.

ეს საბა არის საბა დიდი, განადუგილი, დამაარსებელი დიდ-ჩანებულის ლავრისა იერუსალიმს. ამ ლავრის ერთი საყდართაგანი ეკუთვნოდა ქართველებს, ერთი სომხებს და სხვ. 491 წელს, როდესაც საბა იყო 55 წლისა *), მასთან მივიდა სომეხი იერემია ორის მოწაფით პეტრეთი და პავლეთი. და საბამ „მისცა მათ მცირე ეგუტერი, რათა შაბათსა და და კჳრიაკესა თჳსთა ენითა მას შინა აღასრულებდენ ჩუჳლებისაებრსა მას დიდების მეტყუელებისა:. და მიერითგან დაეწესა ლავრასა მას შინა განმრავლებაჲ სომეხთა ნათესავისა“ (გვ. 345).

საბა წმინდისავე ლავრა, სადაც ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ტაძარი— „ქართველთა ქუაბსა“, იყო უმთავრესი კერა, რომელიც ათონის მთის გაბრწყინვებამდე, საქართველოს აწვდიდა სასულიერო ცხოველსა. ცხვარელი არ აჩვენებს, როდესაც ამბობს: „საბა წმ. ლავრა იყო აკვანი ქართულის მწიგნობრობისა და მოღვაწეობისა წმ. ქვეყანაში“. აქ მოღვაწეობდნენ სხვათა შორის, ილარიონ ქართველი, კონსტანტი კახელი, რომელთა ცხოვრების აღწერა შეტანილია გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდამ ქართულად თარგმნილს სვინაქსარში (№ 222), აგრეთვე პროხორე, მიქელ დვალი და სხ.

*) ტექსტში სწერია: „ჟამსა მას, რომელსა შინა ჰასაკი საბაჲსი მე: 55 წელიწადად აღიწეოდა, ანასტასი მეფობისა საყდარსა დაჯდებოდა (491—518 წ.), ზენონ (474—491 წ.) ცხოვრებისა ამისგან მეფობისავე თანა დაკლებულ იქმნებოდა, ამასვე წელსა მოვიდა ლავრად კაცი ვინმე სადთოჲ სახელით იერემია. ნათესავით სომეხი (გვ. 345).

საბას ხატი და მისი ლავრის სურათი ჩინებულად გამოხატულია კრებულის 303 გვერდზედ და ქვემო აწერია: „საბა დარსი“.

საბასვე ცხოვრების დასასრულს ვკითხულობთ:

დაიწერა წმიდა ესე წიგნი კელითა ფრიად ცოდვილისა იესე ბედის მწერლის შვილისითა ქორონიკონსა ტნზ (=1669 წ.); უცებად ჩხრეკისათვს ნუ მწყევთ, ღუთისათვს, გევედრები“. (და ამას ზედვე მიჰყვება არა ტექსტის ხელით მხედრულად: „აღწერა: საბას: ცხორება: კვირილემ: სკვითიეპოლეღმან“).

სვანურს მანუსკრიპტში მე-IX—X საუკ. (№ 95) შეტანილია ვრცელი წერილი (გვ. 846), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს საბა წმიდის გაოხრებას არაბთაგან. აი სრული სათაური ამ წერილისა:.

მარტსა: ით: წამებაჲ წმიდათა მამათაჲ. რომელნი მოისრნეს ბარბაროზთაგან ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაისსა. აღწერა ამბა სტეფანე მანსურის ძემან დამასკელმან საბა წმიდასა.

ამის მეორე გვერდზე არა ტექსტის ხელით: ცოდვილი იოანე წინამძღვარი შეიწყალე, სჳმეონ. დიდი ხანი არი. რომ არ მიწერია.

მესამე წერილი (გვ. 487—574)

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა სჳმეონ არქიმანდრიტისა: გუაკურთხენ მამაო (აქვს: „ა: სეკდენბერსა მოვა. ამისი დღესასწაული“).

„სჳმეონ ყოვლად დიდი საკჳრველებაჲ ყოვლისა სოფლისა“, ამ სიტყვებით იწყობის მისი ცხოვრების აღწერაჲ! სადა ბერძენთა ხელმწიფებაჲ უწყდებოდა, იქ უველგან „შეისწავეს“ ამ წმიდანის საქმენიო. „ხოლო მიიწია ვიდრე სკვითიამდეცა და ნომადთა ქებულებაჲ მისი“...

მ. ჯანაშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 აპრილი

**პეტერბურგი.** 13 აპრილს მოვიდა პეტერბურგში ნანსენი მეუღლითურთ. სადგურზედ დახვდნენ: შვეციისა და ნორვეგიის ელჩი, საგეოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი სემენოვი, ვიცე-ადმირალი მაკაროვი და სხვანი, აგრეთვე შვეციისა და ნორვეგიის ახალშენის წევრნი. სემენოვი სიტყვით მიეგება და გადასცა ხელმწიფე იმპერატორის მიერ ნაბოძები ორდენი სტანისლავის 1 ხარისხისა.

**სარატოვი.** პურის ფასმა ძალიან აიწია. ფუთი 1 მანეთზედ მეტი ღირს.

**მადრიდი.** გამოქვეყნებულ იქმნა დეკრეტი ზღვათა უფლების დადგენილებათა შესახებ, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ისპანიისათვის. დეკრეტში უმთავრესად ყურადღება მიქცეულია იმაზედ, რომ ისპანია კაპერობას თავს ვერ გაანებებს, თუმცა ამ უკანასკნელის განწეს-რიგება შესაძლებელიაო. დეკრეტის მე 6 მუხლში ნათქვამია, რომ „სამხედრო კონტრაბანდა“-თ იგულისხმება: ყუმბარები, მიტრალიოზები, თოფები, ყოველგვარი იარაღი, ტყვია, თოფის წამალი, გოგირდი, დინამეტი, ყოველგვარი ასაფეთქებელი წამალი, ისეთი ნივთები, როგორც ლვედები, ტანისამოსი, უნაგირები.

**ვაშინგტონი.** შერმანმა თანამდებობას თავი გაანება.

**მადრიდი.** ჰავანის სიმაგრეებიდგან ამერიკის ესკადრისათვის არ უსროლიათ, როგორც ამას ამერიკელები იუწყებოდნენ, რადგან ესკადრა იმდენად ახლო არ მისულა ჰავანამდის, რომ ყუმბარა მისწვდენოდა.

**კივესტი.** ამერიკის ნაღმიანმა გემმა „დეტროიტ“-მა ჰავანიდგან 12 მილის სიშორეზედ შეიპყრო ისპანიის ხომალდი „კატალინა“ და კივესტში მოიყვანა.

**ვაშინგტონი.** ომის გამოცხადებას კონგრესი უკამათოდ მიიღებს. შერმანმა სთქვა, რომ მე დარწმუნებული ვარ ეხლა კუბის მეამბოხენი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებენო. მთავრობას,—განაგრძო მან,—აზრად არა აქვს კუბაში მილიციის ჯარის-კაცები გაჰგზავნოს. იმის აზრით ადმირალ სამსონის ფლოტი ეცდება კავშირი იქონიოს მეამბოხეთა წინამძღოლის გომესის ჯართან და შესაძლებელ ჰყოს, რომ ორთავემ ერთად იმოქმედონ ისპანიის წინააღმდეგ. შემდეგ შერმანმა სთქვა, რომ მთავრობას აზრადა აქვს გაგზავნოს საომარი იარაღი მეამბოხეთა სხვა და სხვა რაზმის შესაიარაღებლად და მოამზადოს ომისათვის მეამბოხეთა მთელი ჯარიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებთ გაზეთ „Кавказъ“-ის რედაქტორს ბ-ნს ველიჩკოს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო მთელის წლით თავისი გაზეთი და თავ. ჯანსოხ დადიშქელიანს, რომელმაც შემოსწირა ჟურ. „Вѣстникъ Европы“ ამავე წლისა დ. ონის უსასყიდლო საერო სამკითხველოს.

თავმჯდომარე დ. ონის უსასყიდლო სამკითხველოს კომიტეტისა ნ. მრევლიშვილი

წევრნი { პ. გამყრელიძე, დ. გოცირიძე

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც ფულით შემწეობა აღმოუჩინეს აკეთის წიგნთ-საცავს, სახელდობრ: ვლადიმერ დავითის ძე ლომაძეს—5 მანეთი; სიმონ ლევანის ძე ტოროტაძეს—5 მან., ივანე პავლეს ძეს ტუღუშს—2 მან., ქ-ნ პელაგია ლ—მინაძისას—1 მან., ეკა ბერძენიშვილისას—1 მან., გიორგი ალექსანდრეს ძეს ჩხეიძეს—1 მან., ათანასე კიკნაძეს—50 კაპ. და იულო ბერძენიშვილს—1 მან. 50 კაპ.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯ. ბაქუნაიშვილი


## განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა**

ამით აცხადებს, რომ ამა მიმდინარე წლის გაზ. „კავკასის“ № 87, „ქუთაისის საგუბერნიო უწყების“ № 14 და „ივერიის“ № 72-ში დაბეჭდილ ბანკში დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშვნის შესახებს განცხადებაში სხვათა მამულთა შორის მოხსენებულია მამული

**სოფიო ნიკოლოზის ასულის ნაკაშიძისა**

და რომ ამ მამულის შესახები განცხადება მართლად არ ჩაითვლება. (1—6.—1)

**ისყიდება მიწა** ნაჭრებად

არტილერიის ყაზარმის ახლოს, მუშტაიდის პირდაპირ, 3 მ.—4 მ. საჟენი.

იკითხეთ ვერაზედ, წყნეთის ქუჩაზედ, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (2—68—2)

**ვყიდულობ**

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროხელოვნურად მინანქრით ნამუშევარდა აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამ აპრილს, იმისის თანადასწრებით, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა ერევნის მოედანზედ მყოფ ქალაქის სახლის **დუქნებისა და სარდაფების იჯარით გაცემისა**

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე, უქმე დღეების გარდა, 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . . | „ | 70 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Апрѣля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.